პირდაპირი და არაპირდაპირი მოთხოვნები 3-დან 4 წლამდე ასაკში

ვიკა პეტრიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2023

სარჩევი

აბსტრაქტი....3

Abstract....4

კვლევის სიახლე და აქტუალურობა....5

ლიტერატურის მიმოხილვა....5

პირდაპირი და არაპირდაპირი მოთხოვნების კავშირი პრაგმატულ განვითარებასთან....5

პირდაპირი და არაპირდაპირი მოთხოვნები....5

პირდაპირი და არაპირდაპირი მოთხოვნების საკითხზე ჩატარებული კვლევები...6

კვლევის მეთოდოლოგია....13

შერჩევა....13

კვლევის პროცედურა....13

კვლევის დიზაინი....14

კვლევის ცვლადები....14

შედეგები....14

3-დან 4 წლამდე ასაკში გამოყენებული პირდაპირი და არაპირდაპირი მოთხოვნების სიხშირე და პირდაპირი მოთხოვნის ტიპების პროცენტული მაჩვენებელი....15

პირდაპირი და არაპიდაპირი მოთხოვნების სქესთაშორის განსხვავება....23

დისკუსია....41

სქესთაშორის განსხვავებები....41

პირდაპირი მოთხოვნები....42

არაპირდაპირი მოთხოვნები....43

შეჯამება....44

კვლევის შეზღუდვები....45

ლიტერატურის მიმოხილვა....46

აბსტრაქტი

ენის სხვადასხვა ასპექტს შორის, მოთხოვნის წარმოების უნარი მნიშვნელოვანია წარმატებული ინტერაქციისთვის. მოთხოვნები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ტიპად: პირდაპირი მოთხოვნები, სადაც მომხსენებელი ცალსახად ითხოვს იმას, რაც მას სურს და არაპირდაპირი მოთხოვნები, სადაც მომხსენებელი უფრო დახვეწილად გამოხატავს თავის სურვილებს, ხშირად სოციალური ნორმებისა და ზრდილობის გათვალისწინებით. პირდაპირი და არაპირდაპირი მოთხოვნები ენის განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტებია, რადგან ისინი საშუალებას იძლევა ინდივიდმა შეიძინოს პრაგმატული უნარები, ეფექტურად გამოხატოს თავისი საჭიროებები და სურვილები. ბავშვის მეტყველების შესწავლით, შეგვიძლია გავიგოთ, თუ როგორ იცვლება მოთხოვნის ფორმები მათ ზრდასა და განვითარებასთან ერთად. კვლევა მიზნად ისახავდა გამოეკვლია, როგორ იყენებენ 3-დან 4 წლამდე ასაკის ბავშვები ენას ინფორმაციის, საგნებისა და მოქმედებების მოთხოვნის მიზნით, პირდაპირია მოთხოვნები თუ არაპირდაპირი და როგორ ვითარდება პირდაპირი და არაპირდაპირი მოთხოვნის ფორმები თვეების მატებასთან ერთად. კვლევაში მონაწილეობდა ორი ბავშვი, ანალიზისთვის გამოყენებული იყო თითო ბავშვის 1 საათიანი მეტყველების ჩანაწერის ტრანსკრიპტი 3 თვიანი შუალედებით 1 წლის მანძილზე. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ბავშვები, ძირითადად იყენებდნენ პირდაპირ მოთხოვნებს და მცირე რაოდენობით არაპირდაპირ მოთხოვნებს.

საკვანძო სიტყვები: **პირდაპირი მოთხოვნები, არაპირდაპირი მოთხოვნები, პრაგმატიკა.**

Abstract

Among the various aspects of language, the ability to make requests is critical to successful interaction. Requests can be divided into two main types: direct requests, where the speaker explicitly asks for what he/she wants, and indirect requests, where the speaker expresses his/her wishes more subtly, often with social norms and politeness in mind. Direct and indirect requests are important aspects of language development as they allow the individual to acquire pragmatic skills and effectively express their needs and desires. By studying the child's speech, we can understand how the forms of requests alter as they grow and develop. The research aims to investigate how 3- to 4-year-old children use language to request information, objects and actions, whether the requests are direct or indirect, and how direct and indirect request forms develop through months. Two children were observed to obtain data for the research, the transcript of each child's 1-hour speech recording with 3-month intervals over a period of 1 year is used for analysis. The results of the study showed that children mostly used direct requests and a small number of indirect requests.

Keywords: **direct requests, indirect requests, pragmatics.**